ხელშეკრულება №----------

(პროექტი № --------- მიხედვით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო

2018 წლის "_____" _____

ქ. თბილისში

საფუძველი: ფასთა ღია გამოკითხვა № -----

ერთის მხრივ, სს ,,თელასი'' (შემდგომში ,,დამკვეთი''), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის სერგეი კობცევის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,----------" (შემდგომში ,,შემსრულებელი''), წარმოდგენილი დირექტორის ----------ს სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდგზე:

1 <u>ხელშეკრულების საგანი</u>

1.1. დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, დამკვეთის მოთხოვნისა და ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, საკუთარი ძალებით, ტექნიკური საშუალებებით და მასალებით, ასევე დამკვეთის მიერ მასალების მიწოდების შემთხვევაში დამკვეთის მასალებით, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, განახორციელოს სს "თელასის" პროექტის № ------- მასზე ქ.თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილების მიხედვით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოება (შემდგომში "სამუშაო"), ხოლო დამკვეთი იღებს ვალდებულებას მიიღოს შემსრულებლის მიერ სრულფასოვნად გაწეული სამუშაო და გადაუხადოს შემსრულებელს მისი ღირებულება.

1.2. შესასრულებელი სამუშაოების და სამუშაოებში გამოსაყენებელი მასალების ჩამონათვალი და განფასება მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. <u>ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი</u>

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს -------- (---------- და --) ლარს (დღგ-ს და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სხვა გადასახადების ჩათვლით).

2.2. შემსრულებლის მიერ გასაწევი სამუშაოს და მასალების დეტალური განფასება მოცემულია დანართი №1-ში, რომელიც არ არის გათვალისწინებული დამკვეთის მასალები.

Договор №----------

(о проведении строительно-монтажных работ согласно проекту № ----------)

Настоящий договор заключен

«___» «_____» 2018 г.

в г. Тбилиси

Основание: Открытый запрос цен № -----

С одной стороны АО «Теласи» (далее-Заказчик), в лице Генерального директора Сергея Кобцева и, с другой стороны, ООО ,,----------" (далее Исполнитель) в лице Директора ----------, заключили настоящий договор о нижеследующем:

1. <u>Предмет договора</u>

1.1. Заказчик поручает, а Исполнитель обязуется, в соответствии с требованием Заказчика и условиями настоящего договора, собственными силами, техническими средствами и материалами, также в случае поставки Заказчиком материалов – материалами Заказчика, в период действия договора, осуществить строительно-монтажные работы по проектам № ---------- (далее - Работа), по решению Агентства по управлению имуществом Мэрии г. Тбилиси, а Заказчик берет обязательство, принять полноценно выполненную Исполнителем работу и оплатить ее стоимость.

1.2. Перечень и расценка выполняемых работ и используемых материалов приведены в Приложении №1 , которое прилагается к договору и является его неотъемлемой частью.

2. <u>Стоимость договора и порядок расчета</u>

2.1 Общая стоимость договора составляет -------- (---------- и --) лари (включая НДС и другие налоги, предусмотренные законодательством Грузии).

2.2 Детальная расценка выполняемой Исполнителем работы и материалов приводятся в Приложениях №1 к договору, в котором не учтены материалы Заказчика.

2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად ან ეტაპობრივად, მხარეთა შორის გაწეულ სამუშაოზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და შემსრულებლის მიერ სრული დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, მასალათა ხარჯის აქტი ("დამკვეთის" მასალების გამოყენების შემთხვევაში), შესრულებული სამუშაოების აქტი და ორმხრივად დამოწმებული მიღება-ჩაბარების აქტი) წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო თუ გადახდის თარიღი ემთხვევა დასვენების დღეს გადახდა განხორციელდება დასვენების შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. 2.4. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარებში. 2.5. შემსრულებელმა დამკვეთს ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურა უნდა წარუდგინოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა.	2.3 Расчет осуществляется единовременно или поэтапно, в течение 20 (двадцать) календарных дней с оформления сторонами акта приема-сдачи о выполненной работе и представления Исполнителем полной документации (налоговый счет-фактура, акт о расходовании материала (в случае использования материалов Заказчика), акт о выполненных работах и двусторонне оформленный акт приема-сдачи), если же дата оплаты совпадает с днем отдыха, оплата производится в первый же рабочий день, следующий за выходным. 2.4. Расчет осуществляется в безналичной форме, в лари. 2.5. Исполнитель должен представить Заказчику электронный счет-фактуру не позднее 1 (один) рабочего дня с оформления акта приема-садчи.
3. <u>სამუშაოს შესრულების პირობები, გარანტიები და უსაფრთხოების წესი</u>	**3. <u>Условия выполнения работы, гарантии и обеспечение безопасности</u>**
3.1. სამუშაოს გაწევისას დამკვეთის ან მესამე პირის ქონების ნებისმიერ დაზიანებაზე ან განადგურებაზე პასუხისმგებლობას და ზიანის აღმოფხვრის და/ან ანაზღაურების ვალდებულებას იღებს შემსრულებელი. 3.2. დამკვეთის კუთვნილი მასალის გამოყენების შემთხვევაში დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ფორმდება მასალის გადაცემის აქტი, რომელშიც მიეთითება შემსრულებლისათვის გადაცემული მასალების ჩამონათვალი და სახეობა, ხოლო სამუშაოს შესრულების შემდეგ ცალკე დგება გახარჯული მასალის ჩამოწერის აქტი, რომელიც თან ერთვის სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტს, ხოლო დარჩენილი/გამოუყენებელი მასალა სრულად და უნაკლოდ, შესაბამისი აქტის საფუძველზე უკან უბრუნდება დამკვეთს. 3.3. თუ შემსრულებელი სამუშაოს გაწევის დროს აღმოაჩენს, რომ დამკვეთის მასალა, რომელსაც იგი იყენებს სამუშაოს შესასრულებლად ნაკლის მქონეა, ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს დამკვეთს მასალის გადაცემიდან აღნიშნულის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა. თუ შემსრულებლის მიერ არ იქნა რეალიზებული ეს უფლება ითვლება, რომ მასალა უნაკლოა და შემდგომში პრეტენზიები არ მიიღება. 3.4. თუ შემსრულებელი გადააჭარბებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს დამკვეთთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე, შეუთანხმებლად გაწეული სამუშაოს ღირებულება მას არ აუნაზღაურდება. 3.5. სამუშაო ხორციელდება შემსრულებლის	3.1. Ответственность за любое повреждение или уничтожение имущества Заказчика или третьего лица во время выполнения работ Исполнителем, и обязательство по устранению и/или полному возмещению ущерба, несет Исполнитель. 3.2. В случае использования принадлежащих Заказчику материалов, между Заказчиком и Исполнителем оформляется акт передачи материалов, в котором указывается перечень и виды переданных Исполнителю материалов, а после завершения работ отдельно составляется акт списания израсходованных материалов, который прилагается к акту приема-сдачи, а оставшийся/неиспользованный материал полностью и без изъянов, на основании соответствующего акта, возвращается Заказчику. 3.3. Если Исполнитель во время выполнения работ обнаружит, что материал Заказчика, который он использует для выполнения работ, имеет изъян, он обязан об этом письменно уведомить Заказчика не позднее 3 (три) рабочих дней с передачи материала. Если Исполнитель не реализует данное право, считается, что материал не имеет изъянов и в дальнейшем претензии не принимаются. 3.4. Если Исполнитель превысит объем работы, предусмотренный настоящим договором, без предварительного письменного согласия Заказчика, стоимость выполненных работ ему не возмещается. 3.5. Выполение работ осуществляется силами,

ძალებით, ტექნიკური საშუალებებით, დამკვეთისა და თავისი მასალებით.	техническими средствами и материалами Заказчика и Исполнителя.
3.6. საგარანტიო ვადა სამუშაოს გაწევისას გამოყენებულ მასალაზე (შემსრულებლის კუთვნილი მასალის გამოყენების შემთხვევაში) და გაწეულ სამუშაოზე შეადგენს 1 (ერთი) წელს. შემსრულებელი იძლევა გამოყენებული მასალებისა და გაწეული სამუშაოების მაღალი ხარისხის და სანდოობის გარანტიას მთელ საგარანტიო პერიოდზე, რომლის ათვლაც იწყება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.	3.6. Гарантийный срок на использованные в работе материалы (в случае использования принадлежащих Исполнителю материалов) и выполненные работы составляет 1 (один) год. Исполнитель гарантирует высокое качество и надежность использованных материалов и выполненных работ на весь гарантийный период, отсчет которого начинается со дня подписания сторонами акта приема-сдачи.
3.7. შემსრულებელი პასუხისმგებელია სამუშაოს გაწევისას გამოყენებული მასალის ხარისხზე და ამასთან დამკვეთს გადასცემს საკუთრების უფლებას გამოყენებულ მასალაზე.	3.7. Исполнитель несет ответственность за качество использованного материала, и вместе с тем, передает Заказчику право собственности на использованные материалы.
3.8. შემსრულებელმა სამუშაოს გაწევისას მკაცრად უნდა დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი უსაფრთხოების წესები (უსაფრთხოების ტექნიკის, შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების ნორმები). ეს წესები უნდა შეიცავდეს (მაგრამ არ უნდა შემოიფარგლოს) იმ აღჭურვილობის უსაფრთხოებას და უსაფრთხო მართვას, რომელიც გამოყენებული იქნება სამუშაოს გაწევისას, ადგილის გასუფთავებისას, რაც გულისხმობს, რომ შემსრულებელმა ადგილი უნდა გაასუფთაოს უსარგებლო ნივთებისა და კონსტრუქციებისაგან, შეინახოს ან გაიტანოს ნებისმიერი ტიპის ნარჩენები და ნაგავი, აგრეთვე ის აღჭურვილობა, რომელიც საჭირო აღარ არის სამუშაოს გაწევისას. შემსრულებელმა ყველა ზომა უნდა იხმაროს ხანძრისგან თავდასაცავად. შემსრულებელი პასუხისმგებელია უსაფრთხოების აღჭურვილობის უზრუნველყოფაზე.	3.8. При выполнении работы Исполнитель должен строго соблюдать соответствующие правила безопасности (техника безопасности, охрана труда и нормы пожарной безопасности). Указанные правила должны включать (но не ограничиваться) безопасность и безопасное управление оснащением, используемым при выполнении работы, очистке места, что подразумевает, что Исполнитель должен очистить место от непригодных предметов и конструкций, вывезти отбросы и мусор любого вида, а также оснащение, которое больше не является необходимым для выполнения работ. Исполнитель должен принять все меры для защиты от пожара. Исполнитель несет ответственность за обеспечение оснащением безопасности.
3.9. შემსრულებელი პასუხისმგებელია საკუთრების დაზიანებაზე, ადამიანთა დასახიჩრებაზე ან/და უბედური შემთხვევის შედეგად სიკვდილზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს შემსრულებლის, მისი ქვეკონტრაქტორის ან სხვა არაპირდაპირი თანამშრომლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაწევით, იმისდა მიუხედავად, ასეთ ზარალს ადგილი ქონდა შემსრულებლის მიერ სამუშაოს სრულ დასრულებამდე, თუ ასეთი ზარალი გამოწვეული იყო შემსრულებლის მიერ სამუშაოს არაპროფესიულად ან/და არაკეთილსინდისიერად შესრულებით, ასევე იგი პასუხისმგებელია მის მიერ გაწეული სამუშაოს თანამდევ ნებისმიერ უარყოფით შედეგზე.	3.9. Исполнитель несет ответственность за повреждение собственности, увечье людей или смерть в результате несчастного случая, что может быть вызвано выполнением Исполнителем, его подрядчиками или другими непрямыми сотрудниками предусмотренных настоящим договором работ, независимо от того, имел ли место такой ущерб до полного выполнения работ Исполнителем, или ущерб был вызван непрофессиональным или/и недобросовестным исполнением работ Исполнителем. Он также несет ответственность за любой отрицательный результат, сопутствующий выполненной им работе.
3.10. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მომსახურების ჩაბარებამდე, გაწეულ სამუშაოებთან დაკავშირებული ყოველგვარი რისკები ეკუთვნის შემსრულებელს.	3.10. Всякие риски, связанные с выполненной работой до сдачи работ в определенном настоящим договором порядке, несет Исполнитель.

4. <u>სამუშაოს შესრულების ვადა და მიღება-ჩაბარების წესი</u> 4.1. შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს სრულად დასრულების ბოლო ვადა განესაზღვროს გაფორმებიდან -- კალენდარული დღე. 4.2. სამუშაოს დასრულების თარიღად ითვლება შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი. 4.3. შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთს აცნობს სამუშაოების დაწყების თარიღი ელექტრონული ფოსტის საშუალებით მისამართებზე: G.Tsikhelashvili@telasi.ge; George.jgenti@telasi.ge; nugzar.jamagidze@telasi.ge; G.patarkalishvili@telasi.ge 4.4. შემსრულებელი ვალდებულია პროექტში არსებული სამშენებლო სამუშაოების შემთხვევაში სამუშაოების დაწყებამდე აცნობოს დამკვეთს სამუშაოების დაწყების თარიღი ელექტრონული ფოსტის საშუალებით **G.ananiashvili@telasi.ge** 4.5. სამუშაოს დასრულების ვადაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რის შესახებაც ინიციატორმა მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს, ვადების გაგრძელების ან ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებით. 4.6. დამკვეთი იტოვებს უფლებას არ დაეთანხმოს სამუშაოს შესრულების ვადაში ცვლილების შეტანას. ამ შემთხვევაში სამუშაოები უნდა დასრულდეს 4.1 პუნქტში მითითებული ვადის შესაბამისად (გარდა ფორს-მაჟორული ან სხვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა). 4.7. გაწეული სამუშაოს მიღება და მისი ანაზღაურება ხორციელდება სრულად ან ეტაპობრივად, მხარეთა შორის გაფორმებული შესრულებული სამუშაოების აქტისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა შესაბამისი უფლებამოსილი პირები. მიღება-ჩაბარების აქტში აღინიშნება გაწეული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება. 4.8. სამუშაოთა დასრულების შემდეგ შემსრულებელი წარუდგენს დამკვეთს შესრულებული სამუშაოების აქტს, ხოლო დამკვეთი 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში იხილავს შესრულებულ სამუშაოთა შესაბამისობას ხელშეკრულების პირობებთან. აღნიშნულ ვადაში დამკვეთი იღებს ან უარყოფს შესრულებულ სამუშაოებს. 4.9. გაწეულ სამუშაოში ხარვეზის, დანაკლისის ან წინამდებარე ხელშეკრულებასთან სხვაგვარი შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში დამკვეთი არ მიიღებს და შესაბამისად არ აანაზღაურებს გაწეულ	**4. <u>Срок выполнения работ и порядок приема-сдачи</u>** 4.1 Предусмотренную настоящим договором работу Исполнитель должен полностью завершить в срок -- календарных дней с оформления Договора. 4.2. Датой окончания работ считается дата подписания акта о приеме-сдаче. 4.3. Исполнитель обязан до начала работ известить Заказчика о дате начала работ посредством электронной почты G.Tsikhelashvili@telasi.ge; George.jgenti@telasi.ge; nugzar.jamagidze@telasi.ge; G.patarkalishvili@telasi.ge 4.4. Исполнитель обязан, в случае проведения строительных работ, до начала работ известить Заказчика о дате начала работ посредством электронной почты **G.ananiashvili@telasi.ge** 4.5. Изменение сроков завершения работ возможно только на основании письменного соглашения сторон, о котором сторона-инициатор должна письменно сообщить второй стороне, с обоснованием необходимости продления или изменения сроков. 4.6. Заказчик оставляет за собой право не соглашаться с внесением изменения сроков выполнения работ. В таком случае работы должны завершиться в соответствии со сроком, указанным пунктом 4.1 (за исключением форс-мажора или иных случаев, предусмотренных договором). 4.7. Прием выполненной работы и оплата за нее осуществляется на основании акта о полностью или частично выполненной работе и акта приема-сдачи, оформленного между сторонами, который подписывают лица, надлежащим образом уполномоченные сторонами. В акте приема-сдачи указывается объем и стоимость выполненных работ. 4.8. После завершения работ Исполнитель представляет Заказчику акт о выполненных работах, а Заказчик в течение 10 (десять) рабочих дней рассматривает соответствие выполненных работ условиям договора. В указанный срок Заказчик принимает или отвергает выполненные работы. 4.9. В случае обнаружения в выполненной работе изъяна или недостачи или иного несоответствия с настоящим договором, Заказчик не принимает и, соответственно, не возмещает выполненную работу. 4.10. В случае обнаружения в выполненной работе

სამუშაოს.	изъяна или недостачи или какого-либо иного несоответствия настоящему договору при сдаче работы, Исполнитель обязуется в течение 3 (три) календарных дней, за свой счет и собственными техническими средствами, устранить дефект, недостачу или/и исправить выполненную работу, а также заменить использованный в процессе выполнения работы принадлежащий ему дефектный материал новым, не имеющим изъянов материалом, и привести выполненные работы в соответствие с условиями договора.
4.10. სამუშაოს ჩაბარების დროს შესრულებულ სამუშაოში ხარვეზის, დანაკლისის ან წინამდებარე ხელშეკრულებასთან სხვაგვარი შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში შემსრულებელი იღებს ვალდებულებას 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით და ტექნიკური საშუალებებით აღმოფხვრას ხარვეზი/შეავსოს დანაკლისი ან/და გამოასწოროს შესრულებული სამუშაო, ასევე განახორციელოს სამუშაოთა შესრულების პროცესში გამოყენებული მისი კუთვნილი დეფექტიანი მასალის ახალი უნაკლო მასალით შეცვლა და შესასრულებელ სამუშაოთა ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა.	4.10. В случае полного или частичного невыполнения Исполнителем условия, предусмотренного пунктом 4.10, Заказчик не принимает и не возмещает стоимость работ, выполненных Исполнителем, и односторонне расторгает договор.
4.11. შემსრულებლის მიერ ამ ხელშეკრულების 4.10 პუნქტით განსაზღვრული პირობის სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეთი არ მიიღებს და არ აანაზღაურებს შემსრულებლის მიერ შეუსრულებელ სამუშაოებს და ცალმხრივად შეწყვიტავს ხელშეკრულებას.	4.11. Заказчик вправе, в случае необходимости, провести экспертизу выполненных работ независимыми экспертами. В таком случае стоимость экспертизы оплачивает Заказчик.
4.12. დამკვეთი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს შესრულებულ სამუშაოთა ექსპერტიზა დამოუკიდებელი ექსპერტების მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ღირებულებას იხდის დამკვეთი.	4.12. После окончания работ, до оформления акта приема-сдачи, в связи с окончанием работ согласно Приложению №1 и началом процедуры приема-сдачи, Исполнитель обязан известить об этом Заказчика электронной почтой на адрес Заказчика g.tsikhelashvili@telasi.ge и представить ему подписанную техническую документацию, предусмотренную приказом Генерального директора АО «Теласи» №616 от 10.04.2016 года (который получен Исполнителем для ознакомления с его содержанием).
4.13. შემსრულებელი ვალდებულია მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე სრულად წარუდგინოს დამკვეთს, სს "თელასი-ს" გენერალური დირექტორის მიერ 04.10.2016 წლის №616 ბრძანებით განსაზღვრული (რომელიც მიღებული აქვს შემსრულებელს და გაცნობილია მის შინაარს), სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული ხელმოწერილი ტექნიკური დოკუმენტაცია და აცნობოს დამკვეთს თანდართული დანართი #1 მიხედვით განპირობებული სამუშაოების დასრულებისა და მიღება-ჩაბარების პროცედურების დაწყების შესახებ, ელექტრონული ფოსტის საშუალებით დამკვეთის მისამართზე **G.tsikhelashvili@telasi.ge**	4.13. После окончания работ, до оформления акта приема-сдачи, в связи с окончанием работ согласно Приложению №1 и началом процедуры приема-сдачи, Исполнитель обязан известить об этом Заказчика электронной почтой на адрес Заказчика g.tsikhelashvili@telasi.ge и представить ему подписанную техническую документацию, предусмотренную приказом Генерального директора АО «Теласи» №616 от 10.04.2016 года (который получен Исполнителем для ознакомления с его содержанием).
4.14. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება არ ათავისუფლებს შემსრულებელს შემდგომში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას დაუფიქსირებელი უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს შედეგად გამოვლენილი ნაკლის გამოსწორებისგან და ამით დამკვეთისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან.	4.14. Оформление акта приема-сдачи не освобождает Исполнителя в будущем от исправления не зафиксированного при оформлении акта приема-сдачи недостатка, допущенного в результате некачественного выполнения работы, и возмещения нанесенного этим Заказчику ущерба.
5. <u>მხარეთა უფლება-მოვალეობები</u>	**5. Права и обязанности сторон**
5.1. შემსრულებლის ვალდებულებები:	5.1 **Обязательства Исполнителя:**
5.1.1. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად საკუთარი ძალებით, სახსრებით, მატერიალური და ტექნიკური	5.1.1. В соответствии с определенными договором условиями, собственными силами, средствами, материальными и техническими ресурсами выполнить работы, предусмотренные настоящим договором, с точным соблюдением существующих

საშუალებებით, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, არსებული ნორმების, სტანდარტების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების სრული დაცვით, ხარისხიანად და დადგენილ ვადებში. 5.1.2. სამუშაოთა დაწყებისა და შესრულების პროცესში ყველა ტექნიკური საკითხი შეათანხმოს დამკვეთთან; 5.1.3. სამუშაოები განახორციელოს პროექტში მითითებული შესაბამისი სპეციფიკაციების და მოთხოვნების მიხედვით, ახალი და ხარისხიანი მასალებითა და მოწყობილობებით. 5.1.4. გამოყენებული მასალები და მოწყობილობები უნდა იყოს არა უმეტეს 3 (სამი) წლისა. 5.1.5. სამუშაო განახორციელოს დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისად. 5.1.6. სამშენებლო და სპეციალურ სამუშაოებზე აწარმოოს ჟურნალი, გააფორმოს საშემსრულებლო სქემები, წარუდგინოს დამკვეთს გამოსაყენებელ მასალებზე ტექნიკური პასპორტები და სერთიფიკატები. 5.1.7. წინასწარ შეათანხმოს დამკვეთთან გამოსაყენებელი მასალების ნიმუშები. 5.1.8. სამუშაოს დასრულების შემდეგ გადასცეს დამკვეთს ნივთობრივად უნაკლო ობიექტი. 5.1.9. დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოებისა და სამუშაოების წარმოების უსაფრთხოების ნორმები. 5.1.10. სამუშაოს მიმდინარეობის დროს დაიცვას გარემო პირობები და სამუშაოს დასრულების შემდეგ უმოკლეს ვადებში გაანთავისუფლოს ტერიტორია ტექნიკისა და ნარჩენებისაგან. 5.1.11. სამუშაოს გაწევის პროცესში გაითვალისწინოს დამკვეთის ყველა შენიშვნა და მოთხოვნა, თუ ისინი არ ზრდიან სამუშაოს ღირებულებას ან მნიშვნელოვნად არ ცვლიან არსებულ მაჩვენებლებს. 5.1.12. პასუხისმგებელია სამუშაოს პროცესში მონაწილე მისი პერსონალის კვალიფიკაციაზე, გამოცდილებაზე, სანდოობაზე, და მათ მოქმედებაზე. 5.1.13. საკუთარი სახსრებით და საშუალებებით გამოასწოროს სამუშაოს მიმდინარეობის ან მისი ჩაბარების დროს გამოვლენილი ხარვეზი. 5.1.14. სამუშაოების განხორციელების დროს მიღებული ინფომაცია ან შესრულებული სამუშაოების დეტალები, რომლებიც ეხება ობიექტის დაგეგმარებასა და სხვა, არ გამოიყენოს არაკანონიერი მიზნებისათვის, არ გადასცეს ეს ინფორმაცია ან შესაბამისი დოკუმენტაცია მესამე პირს, გარდა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსი. 5.1.15. ხელი არ შეუშალოს დამკვეთის წარმომადგენლებს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების	норм, стандартов и условий, предусмотренных действующим законодательством Грузии, качественно и в установленные сроки. 5.1.2. В процессе начала и окончания работ все технические вопросы согласовывать с Заказчиком. 5.1.3. Работы выполнять согласно соответствующим спецификациям и требованиям, новыми и качественными материалами и устройствами. 5.1.4. Использованные материалы и устройства должны быть не более 3 (три) лет. 5.1.5. Выполнить работы в соответствии с требованиями Заказчика. 5.1.6. Вести журнал проведения строительных и специальных работ, оформить исполнительские схемы, представить Заказчику технические паспорта и сертификаты на использованные материалы. 5.1.7. Предварительно согласовать с Заказчиком образцы использованных материалов. 5.1.8. Перадать Заказчику после завершения работ в вещном отношении безупречный объект. 5.1.9. При проведении работ соблюдать правила охраны труда и техники безопасности. 5.1.10. В ходе работ соблюдать условия окружающей среды, и после завершения работ в кратчайшие сроки освободить территорию от техники и отбросов. 5.1.11. В процессе выполнения работ учитывать все замечания и требования Заказчика, если они не увеличивают стоимость работ или значительно не меняют существующие показатели. 5.1.12. Несет ответственность за квалификацию, опыт, надежность и действия своего персонала. 5.1.13. За свой счет и собственными средствами исправить изъян, выявленный в ходе выполнения работ или после его сдачи. 5.1.14. Не использовать полученную во время выполнения работ информацию или детали выполненной работы, касающиеся планировки объекта и т.д., в незаконных целях, не передавать эту информацию или соответствующую документацию третьим лицам, кроме соответствующего уполномоченного органа. 5.1.15. Не препятствовать представителям Заказчика при инспектировании хода выполнения условий договора и максимально обеспечить представителей Заказчика персоналом, необходимым для проведения инспектирования,

მიმდინარეობის ინსპექტირებისას და მაქსიმალურად უზრუნველყოს დამკვეთის წარმომადგენლები ინსპექტირების ჩატარებისათვის საჭირო პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.	техническими средствами и другими рабочими условиями.
5.1.16. სამუშაოს რაიმე მიზეზით დაგვიანების ან დაგვიანების საშიშროების არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ, აცნობოს ამის შესახებ დამკვეთს აღნიშულთან დაკავშირებული შესაბამისი ობიექტური მიზეზების აღწერით.	5.1.16. В случае задержки или наличия угрозы задержки выполнения работы по какой-либо причине, незамедлительно сообщить об этом Заказчику с описанием связанных с указанным объективных причин.
5.1.17. მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, მოახდინოს დამკვეთის მიერ გაცემული მასალების ნაშთის დაბრუნება საწყობში.	5.1.17. В течение 2 (два) рабочих дней с оформления акта приема-сдачи возвратить остаток материалов, выданных Заказчиком.
5.1.18. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას მასალის და/ან გაწეული სამუშაოს ხარვეზი, დამკვეთის მხრიდან წერილობით შეტყობინებაში მითითებულ გონივრულ ვადაში.	5.1.18. В течение гарантийного периода за свой счет устранить изъян использованных материалов или/и выполненной работы (работ) в течение разумного периода, указанного в письменном уведомлении Заказчика.
5.1.19. სამუშაოთა შესრულებისათვის დამკვეთის მიერ განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში სრულად აანაზღაუროს სამუშაოთა შესრულების ვადის გადაცილებით დამკვეთისათვის მიყენებული ზიანი.	5.1.19. В случае просрочки определенного Заказчиком срока, полностью возместить ущерб, причиненный Заказчику просрочкой срока выполнения работ.
5.1.20. აუნაზღაუროს დაკვეთს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი.	5.1.20. Возместить Заказчику ущерб, причиненный Заказчику ненадлежащим выполнением условий настоящего договора.
5.1.21. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსრულებლის მესაკუთრეების (ნომინალური მფლობელების), ბენეფიციარების ჩათვლით (მათ შორის საბოლოო მოგების მიმღების/ბენეფიციარის/პარტნიორის) წილების შესახებ ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ცვლილების დადგომიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია დამკვეთს. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე პუნქტის ეს დებულება არსებითი ხასიათისაა და შემსრულებლის მიერ ამ პუნქტის მოთხოვნათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება;	5.1.21. В случае изменения информации о собственниках (номинальных владельцах) Поставщика, долей указанных бенефициаров (в том числе конечного выгодополучателя/бенефициария/партнера) после оформления договора, в течение 5 (пяти) календарных дней после наступления подобного изменения, Поставщик обязан направить информацию Покупателю. Стороны соглашаются о том, что это положение настоящего договора имеет существенный характер, и в случае его невыполнения или ненадлежащего выполнения, Покупатель вправе в одностороннем порядке расторгнуть настоящий договор.
5.1.22. მკაცრად დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები და ნაკისრი ვალდებულებები.	5.1.22. Строго соблюдать условия настоящего договора и взятые обязательства.
5.2. <u>შემსრულებლის უფლებები:</u>	**5.2 Права Исполнителя:**
5.2.1. მოითხოვოს ანაზღაურება სრულფასოვნად გაწეული სამუშაოსთვის ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.	5.2.1. Потребовать возмещения стоимости полноценно выполненной работы в соответствии с условиями настоящего договора.
5.3. დამკვეთის ვალდებულებები:	**5.3 Обязанности Заказчика**
5.3.1. მიიღოს სრულფასოვნად გაწეული სამუშაო და გადაუხადოს შემსრულებელს სათანადოდ გაწეული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;	5.3.1. Принять полноценно выполненные работы и заплатить Исполнителю стоимость должным образом выполненных работ согласно условиям договора.
	5.3.2. В случае задержки хода работ по его

5.3.2. მისი მიზეზით სამუშაოს მიმდინარეობის შეფერხების შემთხვევაში უზრუნველყოს სამუშაოს დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გახანგრძლივება.

5.4. დამკვეთის უფლებები:

5.4.1. არ მიიღოს და არ აანაზღაუროს გაწეული სამუშაო იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოს გაწევის პროცესში და/ან დასრულების შემდეგ აღმოჩნდება ნაკლოვანებები, რომლებიც გამორიცხავენ ობიექტის გამოყენებას დანიშნულებისამებრ, არ იქნება სამუშაო გაწეული სრულად და ხარისხიანად ან/და სამუშაოებში გამოყენებული მასალები არ შეესაბამება მოთხოვნილს ან გააჩნიათ ტექნიკური წუნი;

5.4.2. მოითხოვოს არასრულფასოვნად შესრულებული სამუშაოების გამოსწორება შემსრულებლის ხარჯებით;

5.4.3. საჭიროების დადგომის შემთხვევაში დააკონსერვოს სამუშაოები;

5.4.4. განახორციელოს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი, მის მიერ გამოყოფილი პირის ან პირთა ჯგუფის მეშვეობით სამუშაოთა განხორციელების ადგილზე, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ასევე სამუშაოთა დამთავრების შემდეგ. საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს შესაბამისი ექსპერტი შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და შესაბამისობის შესამოწმებლად;

5.4.5. შემსრულებლისაგან მოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა;

5.4.6. თუ შემსრულებელი გადააჭარბებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს დამკვეთთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე, არ აუნაზღაუროს შემსრულებელს ზედმეტად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

5.4.7. მოსთხოვოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით დამდგარი ზიანის ანაზღაურება სრული მოცულობით.

6. <u>მხარეთა პასუხისმგებლობა</u>

6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსრულებელს ეკისრება პირგასამტეხლო კონკრეტულ ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 0.1 % ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებლის მიზეზით ვერ განხორციელდება ახალი მომხმარებლისათვის ელ. ენერგიის მიწოდების უზრუნველყოფა, შემსრულებელი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს აღნიშნული მიზეზით დამკვეთისთვის მიყენებული,

причине, обеспечить продление срока завершения работ на соответствующий период.

5.4 Права Заказчика:

5.4.1. Не принимать и не возмещать выполненные работы в случае, если в процессе проведения работ на объекте и после завершения этих работ будут выявлены недостатки, исключающие использование объекта по назначению, работы не будут выполнены полностью или/и качественно, или использованные в работе материалы Исполнителя не соответствуют условиям договора.

5.4.2. Потребовать исправления неполноценно выполненной работы за счет Исполнителя.

5.4.3. В случае наступления необходимости, законсервировать работы.

5.4.4. Осуществлять контроль над выполнением Исполнителем взятых по договору обязательств на месте выполнения работ посредством выделенного им лица или группы лиц, на любом этапе выполнения работ, а также после завершения работ. В случае необходимости, пригласить соответствующего эксперта для проверки качества и соответствия выполненных работ.

5.4.5. Потребовать от Исполнителя представления всей необходимой документации.

5.4.6. Если Исполнитель превысит объём работ, предусмотренный настоящим договором, без предварительного письменного согласования с Заказчиком, не возмещать Заказчику стоимость излишне выполненной работы.

5.4.7 Потребовать от Исполнителя возмещения в полном объеме ущерба, наступившего в результате невыполнения обязательств, возложенных настоящим договором.

<u>6. Ответственность сторон</u>

6.1. В случае просрочки срока выполнения работ, определённых договором, Исполнитель обязан выплатить неустойку за каждый просроченный день в размере 0,1% от общей стоимости работы, зафиксированной между сторонами в акте приема-сдачи о выполненной работе.

6.2. Если по причине Исполнителя не будет осуществлена подача электроэнергии новому потребителю, Исполнитель обязан полностью возместить ущерб, возникший на основании случая, предусмотренного постановлениями Национальной комиссии по регулированию энергетики и водоснабжения Грузии №20 от 18

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის #20 და 2012 წლის 5 ივლისის #6 დადგენილებებით განსაზღვრული შემთხვევების საფუძველზე წარმოქმნილი ზარალი, ასევე ყველა ღონე იხმაროს არსებული დეფექტის დაუყონებლივ აღმოსაფხვრელად (ასეთ შემთხვევაში შედგენილ იქნება შესაბამისი აქტი დეფექტის აღმოფხვრის ვადის მითითებით).	сентября 2008 года и №6 от 5 июля 2012 года, а также принять все меры для немедленного устранения существующего дефекта (в таком случае составляется специальный акт с указанием срока искоренения дефекта).
6.3. თუ შემსრულებლის მიერ სამუშაოების შესრულების ვადა დარღვეული იქნება 10 (ათი) კალენდარული დღით, დამკვეთი უფლებამოსილია, ამ ხელშეკრულების 6.1 პუნქტით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან ერთად, დააკისროს შემსრულებელს ჯარიმა 10% ოდენობით დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებაზე.	6.3. Если Исполнитель нарушит срок выполнения работ на 10 (десять) календарных дней, Заказчик вправе вместе с неустойкой, предусмотренной пунктом 6.1. настоящего договора, вменить Исполнителю уплату штрафа в размере 10% от стоимости оставшихся неыполненными работ.
6.4. თუ შემსრულებელი უარს განაცხადებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულფასოვან შესრულებაზე, დამკვეთი უფლებამოსილია ვადაგადაცილებულ დღეებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკისრებულ პირგასამტეხლოსთან ერთად, რომელიც შეადგენს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დააკისროს შემსრულებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით და შეწყვიტოს ხელშეკრულება, ასევე მოითხოვოს სამუშაოთა შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).	6.4. Если Исполнитель откажется от полноценного выполнения возложенных договором обязательств, Заказчик вправе наряду с неустойкой, возложенной за просроченные дни (в случае наличия таковых), которая составляет 0,1% от общей стоимости договора за каждый просроченный день, обязать Исполнителя выплатить штраф в размере 10% от общей стоимости договора, и расторгнуть договор, а также потребовать возмещения ущерба (в случае наличия такового), вызванного невыполнением работ.
6.5. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი ვერ შეძლებს მის მიერ დაშვებული ხარვეზის აღმოფხვრას ან უარს განაცხადებს მის მიერ დაშვებული ხარვეზის აღმოფხვრაზე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში, ან აღმოჩნდება რომ სამუშაოებში გამოყენებული მასალები უხარისხოა, არ შეესაბამება სტანდარტებს და პრობლემურს ხდის მათ შემდგომ ნორმალურ ექსპლოატაციას, ხოლო შემსრულებელი უარს იტყვის აღნიშნული მასალების შეცვლაზე და/ან დეფექტური სამუშაოების გამოსწორებაზე საკუთარი ხარჯებით, დამკვეთი უფლებამოსილია დააკისროს შემსრულებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით და შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, ასევე, არ აანაზღაუროს დეფექტური სამუშაოების ღირებულება და მოითხოვოს სამუშაოთა შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).	6.5. В случае, если Исполнитель не сможет искоренить допущенный им изъян, или откажется от искоренения допущенного им изъяна в определенные договором сроки, или окажется, что использованные в работах материалы являются некачественными, не соответствуют стандартам и делают проблемным их дальнейшую эксплуатацию, а Исполнитель откажется от замены указанных материалов и/или исправления дефектных работ за собственный счет, Заказчик вправе обязать Исполнителя выплатить штраф в размере 10% от общей стоимости договора и расторгнуть настоящий договор, а также не возмещать стоимости дефектных работ и потребовать возмещения ущерба, вызванного невыполнением работ (в случае наличия такового).
6.6. თუ სამუშაოების დასრულების შემდეგ, სამუშაოთა საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, დამკვეთის მიერ აღმოჩენილ იქნა გაწეული სამუშაოს ან/და შემსრულებლის მიერ გამოყენებული/მიწოდებული მასალის ხარვეზი,	6.6. Если после окончания работ, в течение гарантийного срока работ, Заказчиком будет обнаружена погрешность или дефект выполненной работы или/и использованного/поставленного Исполнителем материала, и он Исполнителем не будет исправлен в кратчайший или определенный Заказчиком срок, Заказчик вправе обязать Исполнителя выплатить штраф за невыполнение обязательства в размере 10% от общей стоимости договора, а также потребовать возмещения ущерба, вызванного невыполнением работ (в случае наличия такового).

დეფექტი და ის შემსრულებლის მიერ არ იქნება გამოსწორებული უმოკლეს ან დამკვეთის მიერ განსაზღვრულ ვადაში, დამკვეთი უფლებამოსილია ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დააკისროს შემსრულებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით, ასევე, მოითხოვოს სამუშაოთა შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).	6.7. В случае согласия Заказчика, Исполнитель вправе вместо исправления изъяна, безвозмездно выполнить работу заново вместе с возмещением Заказчику ущерба за просрочку.
6.7. დამკვეთის თანხმობის შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია ხარვეზის გამოსწორების ნაცვლად უსასყიდლოდ შეასრულოს სამუშაო თავიდან, დამკვეთისათვის ვადაგადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღურებასთან ერთად.	6.8. Выплата неустойки не освобождает Исполнителя от выполнения основных обязательств.
6.8. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს შემსრულებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.	
6.9. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსრულებელს უფლება აქვს წინასწარი წერილობითი გაფრთხილების შემდეგ, დააკისროს დამკვეთს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაში გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.M	6.9. В случае просрочки срока оплаты Исполнитель имеет право, после предварительного письменного предупреждения, обязать Заказчика выплатить неустойку в размере 0,1% от невыплаченной в срок суммы за каждый просроченный день.
6.10. მხარეები ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ერთმანეთისათვის მიყენებულ ზიანს აანაზღაურებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	6.10. Стороны за невыполнение взятых по настоящему договору обязательств несут ответственность в соответствии с действующим законодательством Грузии.
6.11. დამკვეთი უფლებამოსილია გაწეული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და შემსრულებელზე დარიცხული პირგასამტეხლოსა და ჯარიმის თანხა.	6.11. При возмещении стоимости выполненной Исполнителем работы Заказчик вправе удержать предусмотренные настоящей статьёй, начисленные Поставщику суммы неустойки и штрафа (сократить возмещение).
7. <u>ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა</u>	**7. <u>Внесение изменений в договор</u>**
7.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შესრულებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.	7.1. Любое изменение и дополнение в настоящий договор имеет силу при условии, что оно составлено в письменной форме и подписано сторонами.
7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.	7.2. Если по каким-либо заранее непредвиденным причинам возникнет необходимость изменения условий договора, инициатор внесения изменений обязан письменно сообщить второй стороне соответствующую информацию.
8. <u>ხელშეკრულების შეწყვეტა</u>	**8. <u>Прекращение договора</u>**
8.1. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:	8.1. Настоящий договор может быть прекращён:
8.1.1. ნებისმიერ დროს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;	8.1.1. В любое время на основании взаимного соглашения сторон;
8.1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და	8.1.2. В случае невыполнения или/и ненадлежащего выполнения Исполнителем возложенных настоящим договором обязательств.

არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში; 8.1.3. დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე; 8.1.4. წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. 8.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დამკვეთი ვალდებული არ არის გადაუხადოს შემსრულებელს რაიმე თანხა, გარდა იმ თანხისა, რომელიც მან შემსრულებელს უნდა გადაუხადოს ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღის ჩათვლით გაწეული სამუშაოსათვის. 8.3. დამკვეთს ნებისმიერ დროს შეუძლია, შემსრულებელს, მის ელექტრონულ მისამართზე: ---------- რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად, გაუგზავნოს შეტყობინება შემდგომ შეტყობინებამდე სამუშაოს მთლიანად ან ნაწილობრივ დროებით შეჩერების შესახებ, სამუშაოს შეჩერების მიზეზის მითითებით. ასეთი სახის შეტყობინების მიღების შემთხვევაში შემსრულებელმა უნდა მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, რათა მან სამუშაოს შეჩერების პერიოდში არ მოითხოვოს ანაზღაურება.	8.1.3. На основании направленного Заказчиком Исполнителю письменного уведомления за 5 (пять) календарных дней до прекращения договора. 8.1.4. В других случаях, предусмотренных настоящим договором и законодательством Грузии. 8.2. В случае прекращения договора Заказчик не обязан выплатить Исполнителю какую-либо сумму, кроме суммы, которую он должен выплатить Исполнителю за полноценно выполненную работу, включая дату прекращения договора. 8.3. Заказчик вправе в любое время направить Исполнителю письменное уведомление на его электронный адрес ----------, что будет считаться официальным уведомлением, о временном, полном или частичном, приостановлении работ до последующего письменного уведомления, с указанием причины приостановления работы. В случае получения такого уведомления, Исполнитель должен принять все необходимые меры для того, чтобы в период приостановления работ он не потребовал какое-либо вознаграждение.
9. <u>ფორს მაჟორი</u>	**9. <u>Форс-мажор</u>**
9.1. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთის და/ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა. 9.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული	9.1. Для целей настоящей статьи, «форс-мажор» означает непреодолимые для сторон и независимые от их контроля обстоятельства, которые не связаны с ошибками или неосторожностью Заказчика или/и Исполнителя, и которые носят заранее непредвиденный характер. Такие обстоятельства могут быть вызваны войной, стихийными явлениями, эпидемией, карантином и введением эмбарго на поставку товара, и иными случаями, установленными законодательством Грузии. 9.2. В случае наступления форс-мажорных обстоятельств, сторона, заключившая договор, для которой становится невозможным выполнение взятых обязательств, должна без промедления направить другой стороне письменное уведомление об указанных обстоятельствах и вызвавших их причинах. Если сторона, направившая уведомление, не получит письменный ответ от второй стороны, она по своему усмотрению, исходя из целесообразности и по возможности, продолжает выполнение возложенных договором обязательств и старается выискать альтернативные способы выполнения обязательств, независящие от воздействия форс-мажорных обстоятельств. 9.3. Факт форс-мажора должен быть подтверждён

გარემოებების ზეგავლენისაგან. 9.3. ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დამოწმდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ; თუ ფორს-მაჟორი ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება ან ხელშეკრულების აღსრულების დაყოვნება მხარ(ეებ)ის ინტერესის დაკარგვას იწვევს, მაშინ მხარეებმა შეიძლება დააყენონ საკითხი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.	Торгово-промышленной палатой Грузии; если форс-мажор продолжается более одного месяца, или задержка выполнения договора вызывает потерю интереса сторон (стороны), стороны могут поставить вопрос о прекращении Договора.
10. <u>სადავო საკითხების გადაწყვეტა</u> 10.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოებს. 10.2. პირობები, რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**10. <u>Решение спорных вопросов</u>** 10.1. Любой спор, возникший в связи с настоящим договором, решается путем взаимных переговоров, в противном случае стороны могут обратиться в общие суды Грузии. 10.2. Условия, которые не предусмотрены настоящим договором, регулируются действующим законодательством Грузии.
11. <u>ხელშეკრულების სხვა პირობები</u> 11.1. შემსრულებელს არ შეუძლია გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულება ან რომელიმე აქ განსაზღვრული უფლება ან/და სამუშაო ან თავისი სხვა ვალდებულებები მესამე მხარეს დამკვეთის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ასეთი წერილობითი თანხმობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილება ბათილია და ძალას კარგავს. შემსრულებლის ნებისმიერი იურიდიული წარმომადგენელი ან მისი სამართალმემკვიდრე უნდა დაემორჩილოს წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებს. 11.2. სამუშაოს შესრულებისას შემსრულებელი მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი და არა როგორც დამკვეთის თანამშრომელი, აგენტი ან წარმომადგენელი. შემსრულებელს არა აქვს უფლება, დამკვეთის სახელით ან მის ხარჯზე წარმართოს რაიმე საქმიანობა ან სხვა სახით დააკისროს დამკვეთს რაიმე ვალდებულება. 11.3. შემსრულებლის სუბკონტრაქტორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ათავისუფლებს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობებისაგან. 11.4. ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ გამოიწვევს ამ ხელშეკრულების ბათილობას; 11.5. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე. 11.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და რუსულ ენებზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან. 11.7. ხელშეკრულების ქართულ და რუსულ ტექტებს	**11. <u>Срок действия и другие условия договора</u>** 11.1. Исполнитель не имеет права передать настоящий договор или определенное в нем какое-либо право или/и работу, или обязательства третьей стороне, без предварительного письменного согласия Заказчика; решение, принятое без такого письменного согласия недействительно и теряет силу. Любой юридический представитель Исполнителя или его правопреемник должен подчиняться положениям настоящего договора. 11.2. При выполнении работы Исполнитель действует как независимый субъект, а не как сотрудник, агент или представитель Заказчика. Исполнитель не имеет права от имени Заказчика или за его счет осуществлять какую-либо деятельность или в ином виде возложить на Заказчика какое-либо обязательство. 11.3. Подрядчик Исполнителя (в случае наличия такового) не освобождает Исполнителя от взятых договором обязательств и ответственности. 11.4. Недействительность какого-либо положения договора не вызывает недействительности всего договора. 11.5. Настоящий договор вступает в силу с даты его подписания сторонами и действует до полного выполнения сторонами принятых обязательств. 11.6. Настоящий договор составлен на грузинском и русском языках, в двух экземплярах, имеющих равную юридическую силу, которые хранятся у сторон договора. 11.7. В случае обнаружения несоответствия между

შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს.	грузинским и русским текстами договора, предпочтение отдаётся тексту, составленному на грузинском языке.
<u>მხარეთა რეკვიზიტები:</u>	**<u>Реквизиты сторон</u>**
დამკვეთი ს/ს "თელასი" ს/კ 202052580 ქ.თბილის, ვანის ქ. #3 ტელ: +995322 77 99 99 ფაქსი: +995 32 77 99 81 ბანკი: UCEBGE22 ა/ა: GE83VT6600000000508302 გენერალური დირექტორი სერგეი კობცევი _____	**Заказчик** А/О «Теласи» И/к: 202052580 г. Тбилиси, ул. Ванская №3 Тел.: +995322 77 99 99 Факс: +995 32 77 99 81 Банк: UGEBGE22 Р/с: GE83VT6600000000508302 Генеральный директор Сергей Кобцев _____
შემსრულებელი შპს „--------" ს/კ 205234897 მისამართი: ---------- ტელ:---------- ელ/ ფოსტა: ---------- ბანკი: ---------- ა/ა: ---------- დირექტორი ---------- _____	**Исполнитель** ООО «----------» И/к ---------- адрес: ---------- Тел: ---------- Эл. почта: ---------- Банк: ---------- Р/С: ---------- Директор ---------- _____